

ერთი ენობრივი ჯგუფის ენები, რომელთაც ახლონათესაურს უწოდებენ (მაგალითად სერბული და რუსული) უფრო ადვილად ათვისებადია ვიდრე ნაკლები ნათესაობის მქონე ენები (მაგალითად სერბული და ინგლისური). საკმაოდ სწრაფად მიიღწევა ზეპირი თუ წერილობითი მეტყველების გაგება, რადგან მრავალი სიტყვა უკვე გასაგებია. ენების ამგვარი სიახლოვე იწვევს მათი სწრაფად და ადვილად ათვისების ილუზორულ თვითდარწმუნებას. არადა მსგავსი სიტყვა შესაძლებელია მთარგმნელის ყალბი მეგობარი აღმოჩნდეს. სტატიაში წინა პლანზე წამოწეულია შეცდომების გამოძვევი რეალური მიზეზები. ასევე განხილულია, თუ როგორ კარგავს სერბეთში რუსული ენა თავის აქტუალობას და როგორ ჩაანაცვლებს მათ ინგლისური. ლიტ. 4.

ავტ.

1.6.2.1.6. ჩინური სიმბოლიკა რუსულ ვერბალურ კულტურაში (რუსული ენის სწავლების ასპექტში). /ვ. აბრამოვა, ი. არხანგელსკაია/. WEST-EAST. – 2019. – ტ. 2. – #1. – გვ.130-135. – რუს.; რეზ.: ინგლ., რუს., ქართ.

DOI: <https://doi.org/10.33739/2587-5434-2019-2-131-135>

სტატიის ავტორები წარმოგვიდგენენ საკუთარ გამომუშავებულ და უკვე აპრობირებულ მეთოდებს, რომელიც ეხმარება ჩინელ სტუდენტებს იმ რუსული ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულების ათვისებაში, რომლებიც ასახავენ ჩინეთსა და ჩინელებს. მაგალითად, სიტყვა ჩინელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ეშმაკობის სიმბოლო. შესიტყვება ჩინური კედელი, როგორც აუღებელი ციხე-სიმაგრის ან ნაგებობის არანორმალური სიგრძის სიმბოლო. ენის ამგვარი ნიუანსების წინასწარი ახსნა თავიდან ააცილებინებს კულტურულ შოკს ჩინელ სტუდენტებს. ცხრ.1, ლიტ. 12.

ავტ.

1.6.2.1.7. კულტურების კონტაქტი და ღირებულებათა კონფლიქტი უცხოური ენის სწავლებაში. /ლ. ბოგდანოვა/. WEST-EAST. – 2019. – ტ. 2. – #1. – გვ.139-143. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

DOI: <https://doi.org/10.33739/2587-5434-2019-2-139-143>

განხილულია მშობლიური და უცხო კულტურული ღირებულებების ურთიერთგავლენა უცხოური ენის სწავლების პროცესში. სტატიის მიზანს შეადგენს – აჩვენოს უნივერსალური და კერძო ეროვნული იმ ენების კონტინუუმში, რომლებიც ურთიერთქმედებაში შედიან უცხოური ენის სწავლების პროცესში. რუსული ენის მაგალითზე ნაჩვენებია, თუ როგორ აისახება ენის სწავლებაში კულტურული ღირებულებები, რომლებიც ცვალებადია ენიდან ენაში. ერთი და იმავე საგნისადმი დამოკიდებულების სტრუქტურა ხშირად არ ემთხვევა სხვადასხვა ენებში. მსგავსი გამოცდილების ადამიანებსაც კი განსხვავებული შეხედულება უყალიბდებათ მოვლენებზე, თუკი ისინი სხვადასხვა კულტურულ გარემოს ეკუთვნიან. სტატიაში დასაბუთებულია უცხოური ენების სწავლების პროცესში კულტურული კოდების გათვალისწინების აუცილებლობა. ლიტ. 19.

ავტ.

1.6.2.1.8. ემოციების კულტურული სპეციფიკის ლექსიკური გამოვლინებები (რუსული ენის, როგორც უცხოური ენის კონტექსტი). /ე. ფატიუშინა, ვ. პოპოვა/. WEST-EAST. –2019. – ტ. 2. – #1. – გვ.147-151. – რუს.; რეზ.: ინგლ., რუს., ქართ.

DOI: <https://doi.org/10.33739/2587-5434-2019-2-147-151>

კვლევის მიზანია ენის ლექსიკაში ემოციების კულტურული სპეციფიკის გამოვლინებებისა და გამოყენების აღწერა, ასევე ამ სპეციფიკის გამოყენება მეორე ენობრივი პიროვნების ჩამოყალიბების მიზნით უცხოური ენის სწავლების პროცესში. სტატიაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: შედარებითი, კონტექსტუალური ანალიზი, ქეის-სტადი, ანკეტირება.